

БИБЛИОТЕКА

~~K 3161
1a~~

ინის

ს
ა
ქ
მ
ე

2497

კოლონიზაციური საზოგადოების განვითარება

9(47)173

59476
3/6/ 8.5.2019-29492
K 10a
4488/8

განმარტული

~~9(47)
2 8-15~~

გაზრის საქმე

(საბრალმდებლო ოქმის მიხედვით).



კონსტიტუციური საზოგადოების განყოფილება № 6

ტფილისი — 1988

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა ტფილისი, კამოს ქ., № 68.

შთავლ. 440 შეკვ. № 967 ტირაჟი 3000.

გ ა გ რ ი ს ს ა ქ მ ე

ეს საქმე თითქმის ერთ შემთხვევაზე აშენდა.

1905 წლის სექტემბრის 28-ს გაგრაში მოკლეს იქაური კლიმატიური სადგურის უფროსი შერემეტიევსკი.

ვინ იყო ეს შერემეტიევსკი? ვინ მოკლა ის, ან რისთვის გაიმეტეს სასიკვდილოდ?

ამ საკითხზე პასუხის გაცემას შემდეგი წინასწარი განმარტება სჭირდება.

შავი ზღვის ნაპირი საუცხოვოა თავისი ბუნებითა და მეტადრე ჰავით. სანაპირო მიწების დიდი ნაკვეთები სახაზინო და ეგრედ-წოდებულ „საუფლისწულო“ მამულებად იყო ჩარიცხული და რუსეთის თვითმპყრობელი მეფეები ამ მიწებს თავისიანებს, თავის ნათესაებს და ერთგულ მოსამსახურე ღენერლებს და კარის-კაცებს ურიგებდნენ.

ალექსანდრე პეტრეს-ძე ოლდენბურგსკი ნიკოლოზ მე-II ბიძა იყო და, რა გასაკვირია, რომ იმასაც კარგა მოზრდილი მამული შეხვდა წილად შავი ზღვის ნაპირზე. ეს ოლდენბურგსკი გვარიანი მდიდარი კაცი იყო. ადგილ-მამული სხვაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ გაგრის მამული საუკეთესო იყო მის სამფლობელოში.

თვითონ ოლდენბურგსკისაც მოსწონდა ეს თავისი მამული და თითქმის მუდმივ აქ ცხოვრობდა. ცხოვრობდა და კარგადაც ცხოვრობდა... სანამ რევოლუციონურმა მოძრაობამ ამ მყუდრო კუთხესაც არ მიადწია და განებევრებულ ტკბილ ცხოვრებას შეჩვეულ პრინცს ძილი არ გაუფრთხო.

პრინცი და ისიც ნიკოლოზ მეფის ბიძა, რომ დიდი განათლებული და გონება-გახსნილი ადამიანი არ ყოფილიყო, გასაკვირი არ არის. მისი მსოფლმხედველობა ძალიან უბრალო და მარტივი იყო.

„ — რუსეთს ღეთის განგებით მოვლინებული ჰყავს ხელმწიფე-
იმპერატორი, რომელიც მართავს და განაგებს დედამიწის მეექვსედს
ისე, როგორც მას მოესურვება და თავის საქმიანობაში ის მხოლოდ
ღმერთს ჩააბარებს პასუხს. სხვას არავის არაფერი ეკითხება მეფის
საქმიანობაში. თუ მაინცა და მაინც, ნიკოლოზს შეუძლია მას—თავის
ბიძას ჰკითხოს რჩევა, ეს სრულიად საკმარისია.

რევოლიუცია, პრინციის აზრით, ბოროტი ხალხის მოგონილი
ოინები იყო.

ეს ბოროტი ხალხი აბრეყვებს ისეთ შეუუნებელ ბრბოს, როგორც
არიან მაგალითად, ყოველგვარი „ინოროდცები“. სხვათაშორის პრინ-
ცი, თუმცა თვითონ წმინდა სისხლის გერმანელი იყო, მაგრამ თავის
თავს მაინც ნამდვილ რუსად თვლიდა და ყველა არა-რუსს „ინო-
როდცებს“ უწოდებდა.

ამ სახელით ეს, დასტურ, ბრიყვი და ხეპრე ხალხი გამოხატავდა
თავიანთ უაღრეს ზიზღსა და უკადრისობას.

ასეთი „ინოროდცები“ ბატონ პრინციის სამფლობელოში, მისი
აზრით და ვაგებით, იყვნენ ქართველები. მათ სწამებდა პრინცი რე-
ვოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობასა და მეთაურობასაც.

ამიტომ ამიერიდან პრინციის განზრახვა შეიქნა რამენაირად აედგა
ფეხი გაგრაში ყველასათვის, ვინც ამ მაგნე და საშიშ „ინოროდ-
ცების“ მოდგმას ეკუთვნოდა. ამ საქმეში მას მარჯვე და მონდო-
მებული კაცი სჭირდებოდა და ასეთი კაცი კიდეც იშოვა.

ეს გახლდათ შერემეტიევსკი.

პრინციმა იცოდა, როგორ უნდოდა კაცის არჩევა. შერემეტიევსკი
მას ასე უბრალოდ კი არ აურჩევია. მისი ვინაობა და წარსული მუ-
შაობა კარგად, ზედმიწევნით შეისწავლა. წარსული კი შერემეტიევ-
სკის სწორედ ისეთი ჰქონდა, როგორც ოლდენბურგსკისათვის იყო
საჭირო: შერემეტიევსკი კარგა ხანს „ოხრანკაში“ მსახურობდა
და ყოველგვარ ბინძურ საქმეში დახელოვნებული და გამოქნი-
ლი იყო.

შერემეტიევსკიმ იცოდა, რა საქმისათვისაც მიიწვიეს ის გაგრაში
და მოსვლისთანავე შეუდგა მუყაითად მუშაობას.

პირველი იერიში შერემეტიევსკიმ ქართველ „ინოროდცებზე“ მი-
იტანა.

იყვნენ გაგრაში ქართველები აქა-იქ სამსახურში. პირველადვე იმათ მიაქცია შერემეტიევსკიმ თავისი განათლებული ყურადღება. შეიქნა ქართველ მოსამსახურეების შევიწროება და დევნა. ხრიკების გამოგონება და შარის მოღება იმ დროს არც ისე ძნელი იყო, მაგრამ ამისათვისაც კი არავინ იწყებდა თავს მაინცა და მაინც, ვისაც ცოტა რამეს შეწამებდენ, ყოველივე მიზეზის გარეშე ითხოვდენ სამსახურიდან.

სამსახურიდან დათხოვა იმავე დროს გაგრიდან გაძევებასაც ნიშნავდა.

ერთი სიტყვით, შერემეტიევსკიმ ძალიან ჩქარა გააცნო ყველას თავისი თავი, არავისათვის აღარ შეიქნა თარული და დამალული, რომ შერემეტიევსკი პრინციპა გაგრის გასაწმენდად მოიყვანა.

შერემეტიევსკის მუშაობამ, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ შეანელა რევოლუციის გრიგალის ქარიშხალი. გაგრაშიაც ისეთივე ამბავი იყო იმ დროს, როგორც სხვაგან მთელ იმდროინდელ რუსეთის სამეფოში.

ეს 1905 წელი გახლდათ.

შერემეტიევსკიმ მხოლოდ იმ მიზანს მიაღწია, რომ სულ მოკლე დროში მთელი იმ კუთხე-მხარის ზიზღი და სიძულვილი დაიმსახურა. რევოლუციის აღმასვლის ხანაში ასეთს საზიზღარ პირებს დიდხანს ვინ აბოგინებდა და შერემეტიევსკისაც ბოლო მოუღეს.

შერემეტიევსკის მოკვლახე დიდი საქმე აშენდა.

ადგილობრივ გამოძიებელს ველარ ანდვეს ამ საქმის გამოძიება: პეტეობურგიდან საგანგებოდ გამოგზავნეს გულდაგულ ამ საქმისათვის გამოძიებელი ბურცევი. ჩამოვიდა ეს საგანგებო გამოძიებელი ამ სიშორიდან და დიდი ამბით შეუდგა საქმეს. მოწმეებს დაკითხა, დაათვალიერა, სად და როგორ მოხდა მკვლელობა, აუარებელი მასალა შეაგროვა.

ის იყო საქმე უნდა დაესრულებია, მაგრამ ერთ ბედნიერ დღეს მთელი ეს ამდენი ხნის ნაგროვები და თავმოყრილი მასალა დაიკარგა, გაქრა ერთბაშად.

გასაკვირი ის იყო, რომ ქალაქები დაკეტილ ოთახში ჰქონდათ დაცული, ეს ოთახი არც არავის გაუღია, არც არავის გაუტეხია, მაგრამ გამოძიების მასალა კი დაიკარგა ასე უკვალოდ.

ყველაზე უფრო ამ ამბავმა ბურცევი დააღონა და დააძმარა.

ამდენი ხნის ნამუშევარმა წყალში გაუარა. ის კი ჩინსა და დაწინაურებას მოელოდა. ვინ იცის, იქნებ ბურცევი ხელმოკრედ შედგომოდა დაკარგულის აღდგენას, მაგრამ ვერ დაატყო სასიკეთო ნიშნებს; იფიქრა, ამ შერემეტიევსკის მეც არ გადავაყოლო თავიო, გამოკრა თავისი ბარგი და გზას გაუდგა.

1905 წლის დამლევით ისეთი დრო იყო, რომ შერემეტიევსკის მოკვლისათვის ყურადღების მიმქცევი აღარავინ გამოჩნდა.

ოქტომბრის საერთო გაფიცვას მანიფესტის გამოცხადება მოჰყვა. თვითმპყრობელობას თავის გადარჩენის იმედი სანახევროდ დაკარგული ჰქონდა.

საერთო და საყოველთაო ფერხულში იყო ჩაბმული გაგრაც. ასე გავიდა მთელი 1905 წელი.

* * *

დადგა 1906 წელი.

სასტიკი და საშინელი რეაქცია მუსრს ავლებდა ყველას, ვისაც რევოლიუციონურ მოძრაობაში რაიმე მონაწილეობა მაინც ჰქონდა მიღებული.

რეაქციის მოვლინებას შერემეტიევსკის საქმის განახლებაც მოჰყვა.

ძველი ნამუშევარი და ნაშოვი მასალა რაღაც რომ დაკარგული იყო, საქმის ხელახალი ძიება ახალ გამომძიებელს მიანდევს; თვით საქმის მსვლელობა ჟარდარმთა სამმართველოს ჩააბარეს სახელმძღვანელოდ.

არავინ არ ფიქრობდა იმას, რომ შერემეტიევსკის მკვლელობა კვრძო ინტერესების ნიადაგზე იყო ჩადენილი. მოჰკლეს შერემეტიევსკი პოლიტიკურ ნიადაგზე, მოჰკლეს რევოლიუციონური ორგანიზაციის დავალებით, მაგრამ ამ რევოლიუციონურ ორგანიზაციას ასე აღვილად ხომ ვერ მიაგნებენ?

თანაც ვინმესათვის ბრალის დადება და გამტყუნება მაშინ შეიძლება, როდესაც გამოჩიება მიაგნებს, თუ სახელდობრ ვინ ჩაიდინა მკვლელობა?

გამოძიებას გაგებული ჰქონდა, რომ მკვლეელი სამი იყო, მაგრამ ისიც იცოდა გამოძიებამ, რომ სამივეს პირისახე ახვეული ჰქონდა.

მკვლელობის ამბავის გამოკვლევას რომ შეუდგენ, სხვადასხვა გარემოებები ისე გადაეჭლო ერთმანეთს, რომ არსებითად შერემეტივესკის მკვლელობის საქმე მხოლოდ ერთი მუხლი შეიქნა საერთო დიდი საქმისა, რომელიც შეიცავდა გაგრის კუთხეში 1905 წლის მოძრაობის ამბავს.

თვითონ მკვლელობის საქმე ასე გამოირკვა.

26 სექტემბერს, საღამოს, გაგრის კლიმატიურ სადგურის სამმართველოს სხდომა ჰქონდა. ამ სხდომაზე გადაწყდა ჟოეკრის ჩანჭქერიდან გამოყვანილი წყალსადენის დასათვარიელებლად კომისიის შედგენა. თვითონ შერემეტივესკი, ვითარცა კლიმატიური სადგურის უფროსი, რასაკვირველია, ამ კომისიის წევრი იყო, გარდა იმისა ორიც სხვა შედიოდა იმავე კომისიაში: სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი პოსტნიკოვი და ინჟენერი ვიგანდი. უნდა დასწრებოდა ამ კომისიის მუშაობას, თუმცა კომისიის წევრი არ იყო, აგრეთვე მუშაობის მწარმოებელი ინჟენერი ახტენი.

შეიპირეს ერთმანეთი, რომ მეორე დღეს, ესე იგი 27 დღით შეკრებილიყვენ ფოსტის შენობასთან და აქედან ერთად წასულიყვენ წყალსადენის სათავისაკენ.

ამ დღეს წასვლა არ მოხერხდა, იმიტომ, რომ სრულებით მოჭლოდნელად პოსტნიკოვი აუად გახდა და უიმისოდ წასვლა კი არ ივარგებდა.

წასვლის საქმე ერთი დღით გადაიდვა.

სამაგიეროდ 28 სექტემბერს, კომისიის წევრების გარდა წყალსადენის დასათვარიელებლად გაემგზავრენ კიდევ კლიმატიური სადგურის უფროსი ექიმი ხორვატი და ტეხნიკი კალაკოცი.

მივიდნენ თუ არა იმ ალაგს, სადაც ელექტრონის სადგურია, კალაკოცი და შერემეტივესკი დაწინაურდნ და გაეშურენ ადგილის დასათვარიელებლად.

სხვათა შორის, ეს სადგური მაღლობზეა აშენებული. ეს სწორედ ის მაღლობია, რომელზედაც მიდგმული იყო გაგრის დროებითი სასტუმრო.

კალაკოცი და შერემეტიევსკი ჩანჩქერისკენ მიდიოდნენ ჟოეკრის წყალსადენის გზით. მაღლობზე კომისიის წევრებმა და სხვებმაც, ვინც ამ მგზავრობაში მონაწილეობა მიიღო, საუზმე მიირთვეს და უკან გამობრუნდნენ.

უკვე ელექტრონის სადგურზე რომ იყვნენ მისული, შერემეტიევსკის ამბავი დახვდა: ამა და ამ ადგილას დარაჯი მოგვიკლესო.

ამ ამბავის გაგებამ შერემეტიევსკი მეტის-მეტად ააღელვა და მას აღარ მოუცდია. იმ წამსვე, რაც რომ ეს ამბავი გაიგო, დაეშვა დაბლა გაგრისაკენ.

მას თან აედევნა უფროსი ექიმი ხორვატი.

დანარჩენები ისევ იქ დარჩნენ. ისინი დასვენების შემდეგ აპირებდნენ წამოსვლას.

ჯერ ხორვატი წინ მიდიოდა და უკან შერემეტიევსკი მისდევდა, შემდეგ შერემეტიევსკი დაწინაურდა და ხორვატი უკან ჩამორჩა. უცრად, როდესაც დაწინაურებულმა შერემეტიევსკიმ პილიკის ერთ მსახვევეში შესდგა ფეხი, გასმა თოფის ხმა.

ამ დროს ხორვატსა და შერემეტიევსკის შორის მანძილი ათი ნაბიჯი თუ იქნებოდა.

ხორვატმა იფიქრა, ალბათ, ვინმე მონადირეა ასე უადგილო-ადგილს რომ ისერის თოფსო—და, სანამდე ხეირიანად ვინმეს დაინახავდა შეუყვირა:

— რას ჩადიხარ, ვილაცა ხარ? ვერ ხედავ, გზაზე ხალხი დაიარება, შენ კი ჩიტებს გამოსდგომიხარ და თოფს ისერიო.

ამ დროს ხორვატმა თვალი მოჰკრა ვილაც თოფიან კაცს.

თოფიანმა კაცმა თოფი ძირს დახარა, ეს კიდეც არაფერი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თოფის გავარდნა და შერემეტიევსკის ძირს დაცემა ერთი შეიქნა.

ეს ყველაფერი ერთბაშად და უცბად მოხდა.

შერემეტიევსკის ძირს დაცემამ ხორვატი, ალბათ, მიახვედრა, რომ თოფიანი კაცი ბელურების მოსაკლავად როდი ისროდა თოფს. შეშინებული გამობრუნდა ხორვატი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუხლებს დააწვა.

გულამოვარდნილმა, როგორც იყო, ჩამოახწია მან თავის ბინაზე.

როცა ამის შემდეგ ის ამ შემთხვევას გაიხსენებდა ხოლმე, ამბობდა, რომ გამოქცევის დროს მეორე თოფიან კაცსაც მოვკარი თვალიო, მაგრამ მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანის სათვალავი მეტის-მეტად სათუო ამბავია.

ხორვატი იმასაც კი ამბობდა—სამჯერ კიდე გავარდა იმ პირველი გასროლის შემდეგ თოფიო.

როგორც კი გავრცელდა ხმა შერემეტიევსკის დაჭრის თუ მოკვლის შესახებ (ჯერ არავინ იცოდა, მარტო დაჭრილი იყო, თუ მოკლული შერემეტიევსკი) გაგრიდან ბევრი ხალხი დაიძრა ამბავის გასაგებად.

როცა გაგრიდან გაქცეული ხალხი მივიდა იმ ადგილას, სადაც შერემეტიევსკის თოფი ესროლეს, იქ უკვე გაცივებული გვამი დაუხვდათ:—შერემეტიევსკი პირაღმა ეგდო.

მკვლელობა ისეთ ადგილზე მოხდა, რომ იქედან წასვლა და დამალვა ძალიან ადვილი იყო; გარშემო ბუჩქებითა და მოზრდილი ხეებითაა იქაურობა მჭიდროდ დაფარული.

შერემეტიევსკის აღმოაჩნდა სამი ჭრილობა, სამივე სასიკვდილო. სამივე ტყვია მარცხენა მხრიდან იყო მოხვედრილი.

როდესაც ხელახლა შეუდგენ შერემეტიევსკის მკვლელობის კვალის ძიებას, გამოირკვა სხვადასხვა გარემოებები, რომლებსაც ერთგვარი კავშირი უნდა ჰქონოდა ამ მკვლელობასთან. ასეთი იყო ყოველ შემთხვევაში, გამომძიებელის და ბრალმდებელთა აზრი.

1. კლიმატიურ სადგურს ჰყავდა მოლარე ვინმე ჩიჩკინი. შერემეტიევსკიმ ეს ჩიჩკინი თავიდანვე აითვალისწუნა. ჯამაგირი შეუმცირა, სამ თუნამდე დაიყვანა და, სამიზეზო და საკბილო ვერაფერი უპოვა, თორემ სრულებით დაითხოვდა სამსახურიდან.

როცა შერემეტიევსკის მკვლელობის შესახებ საქმე შედგა, მაშინვე გაიხსენეს ეს ჩიჩკინი: შერემეტიევსკი ჩიჩკინს ავიწროებდა და, ვინ იცის, იქნებ იმანაც მიიღო მონაწილეობა ამ მკვლელობაშიო.

2. გაგრაში ვაჭრები ბლომად იყვნენ და მათ შორის — იარი ძმა ბენდელიანი, ილარიონ და აქესენტი. შერემეტიევსკის ქართველობა საზოგადოდ სძულდა, ისეთებიც კი, რომლებთანაც მას, შავრაზმული ზაფრებით შექანებული ადამიანი რომ არ ყოფილიყო, სამდღურავი და სამტრო არაფერი უნდა ჰქონოდა.

ბენდელიანები უბრალო ვაჭრები იყვნენ, საქონელს ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ. რევოლიუცია მათთვის არაფერი საჭირო და სასარგებლო ამბავი იყო, მაგრამ შერემეტიევსკიმ — ესენი — მიზანში ამოიღო, უსათუოდ რევოლიუციონერებიაო, შესწამა და აღარ მოეშვა ამ ხალხს.

დაახლოვებით ასეთივე ამბავი დაემართა კიდევ ერთ ვაჭარს, ევგენი ფერაძეს. შერემეტიევსკის ისიც რევოლიუციონერად ელანდებოდა.

ბენდელიანები და ფერაძე რომ უსაქმო ხალხი ყოფილიყვენ, მათ ერთი თვალის დახაზვებში გააძევებდნენ გაგრიდან, მაგრამ ესენი ყველა პატივცემული ვაჭართა წრის წარმომადგენლები ბრძანდებოდნენ და ასე ჯიქურ უმიზეზოდ მათი გაძევება, ცოტა არ იყოს, სათაკილოდ მიაჩნდათ.

რომ არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური, შერემეტიევსკიმ ერთ ნაფიც ვეჟილს შიანდო ეს საქმე. იმას ისე უნდა გამოეყვანა საქმე, რომ კანონის ძალით ეს სამი აღამიანი გაგრიდან გაძევებული ყოფილიყვენ.

უქ კიდევ ერთი ასეთი შემთხვევაა.

შერემეტიევსკიმ თავისი განზრახვა საიდუმლო ტელეგრამით თავის ხაზინს — პრინც ოლდენბურგსკის შეუთვალა:

— ასე ვაპირებ და თქვენ როგორ მომიწონებთ ამ საქმესო.

ოლდენბურგსკის პასუხი დაგვიანდა, თუ შერემეტიევსკის მოკვლავისაც უნდოდა, იმათ აიჩქარეს, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ ამ ტელეგრამის გაგზავნის შემდეგ სამმა დღემ განვლო და შერემეტიევსკიც მოჰკლეს.

ამანაც იკმარა ბენდელიანების პასუხისგებაში მისაცემად.

მაგრამ შერემეტიევსკის მტერი სხვაც ბევრი აღმოჩნდა. შერემეტიევსკიმ, ალბათ, კარგად იცოდა რისთვის აძლედა მას პრინცი ჯამაგირს და არ უნდოდა, რომ ეს ჯამაგირი დაუმსახურებლად აეღო.

შერემეტიევსკი ჩინებულად ატყობდა, რომ გაცილებით უფრო საშიში და სახიფათო ის ხალხი იყო, ვისაც არსებული წესწყობილება და მართვა-გამგეობის წესი არ მოსწონდა, ვინც ხალხს ამ წესწყობილების დამხობისაკენ მოუწოდებდა.

სწორი უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მან გარჩევა არ იცოდა, რუსსა და არა რუსს—ყველას თანაბრად სდევნიდა, ვისაც კი რევოლუციონურ მოძრაობასთან რაიმე კავშირს შესწამებდა.

იყო და მსახურებდა გაგრაში ვინმე იოსებ მარუაშვილი, შერემეტიევსკიმ თავისი ჯაშუშების წყალობით მოყნოსა, რომ მარუაშვილი ხალხში პროპაგანდას ეწეოდა. გაიგო შერემეტიევსკიმ აგრეთვე ისიც, რომ კლიმატიური სადგურის მოლარე ილია ჩიჩკინიც იმავე საქმეს ეწევა, რასაც მარუაშვილი, იმ განსხვავებით, რომ მარუაშვილის პროპაგანდა ქართველებში ვრცელდება, ჩიჩკინის კი—რუსებში.

შერემეტიევსკის ჩინებული ჯაშუშები ჰყავდა, მან ამ ჯაშუშების წყალობით არამც თუ ის გაიგო, რომ მარუაშვილი და ჩიჩკინი პროპაგანდას ეწეოდნენ, მას არც ის დარჩა გაუგებარი, რომ ორთავე სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ეკუთვნოდნენ, ხოლო ამ პარტიაში კი ბოლშევიკურ ფრაქციას ემხრობოდნენ.

ფერადისა და ბენდელიანებს შერემეტიევსკი იმას აბრალებდა: — პროპაგანდის მოსასმენად ხალხი თქვენთან იკრიბება ხოლმე.

შერემეტიევსკის რომ იმაზე მეტი ბრალი არ დაედვათ, ვიდრე მას ჰქონდა დამსახურებული, უნდა ითქვას, რომ, შესაძლებელია ბენდელიანებისა და ფერადის სასაბილოებში თითო-ორჯერ მართლაც კი მოხდა კრება. ასეთი კრებები მაშინ ღიათა და აშკარადაც კი ხდებოდა.

შერემეტიევსკი ყოველივეს და ყველაფერს, რაც კი რამ ხდებოდა გაგრაში, იმწამსვე დებუთ ატყობინებდა ოლდენბურგსკის, თანაც თხოვდა:

„ — არეული დრო დადგა, რაც შეიძლება მეტი სამხედრო ძალა გამოგვიგზავნეთ და პოლიცია გააძლიერეთო.

ოლდენბურგსკიც „ხელს უწყობდა“ თავის ერთგულ მოსამსახურეს: გამოგზავნეს გაგრაში კაზაკები, გამოგზავნეს მატროსები, გააძლიერეს სტრაჟნიკების რიცხვი.

შერემეტიევსკი, რასაკვირველია, ვერაფერს განდებოდა, რომ მას ხელის შემწყობი პირობები არ ჰქონოდა. იყო სადგურის საქმის მწარმოებელი ვასილიევსკი, რომელიც ჯაშუშობას ეწეოდა, იყო უფროსი მებაღე კოტევი, არც ის თაკალობდა ჯაშუშობას.

რევოლუციონური მოძრაობა იზრდებოდა და ფართოვდებოდა. შთავრობის ხალხს ეს რევოლუცია ესმოდა ისე, როგორც მთავრობისადმი მტრულად განწყობილ რამდენიმე ადამიანის საქმე. ამიტომ საბრალმდებლო ოქმის ავტორები სულ იმას ცდილობენ, რომ ვინმე შეთაურები მონახონ. ამ მოვალეობას ისინი აკუთნებენ მარუაშვილსა და ჩიჩკინს და ამათ აბრალევენ მთელ რევოლუციონურ მოძრაობის გაძლიერების მიზეზს.

მაგრამ შეთაურები მარტო არ კმარა, თანაც ვინ რისი მეთაური იქნება თუ გამყოლი და მომხრე ხალხი არ იყოლა? საბრალმდებლო ოქმის ავტორებიც ცდილობენ, რომ ბრალდება ყოველმხრივ დაასაბუთონ.

პირველ ყოვლისა, მთავარ ბრალდებულთა შორის ბენდელიანებია დასახელებული, მაგრამ ილარიონსა და აქესენტის აქ ერთი კიდევ მიუმატეს, სახელდობრ დავით ბენდელიანი.

მეთაურებში იმათ გარდა ჩაწერეს კიდევ: ხარლამპი ჭყონია, ფარნაოზ ჯიქია და ეფრემ ცინცაძე.

მეთაურებს შორე წყების დამხმარეები მიაყოლეს. ესენია ის რამდენიმე პირი, რომლებსაც ათისთაობას აბრალევენ: ევგენი ფერაძე, სვიმონ თავაძე, ფრანც ოლესნევიჩი, ნოე და ივანე ჩაჩავეები და მიხეილ ერქომაიშვილი.

მთავრობის აზრით და მიხედვით აი ამ პირებმა გამოიწვიეს 1905 წლის რევოლუციონური მოძრაობა გაგრის მხარეს და ეს პირები რომ არ ყოფილიყვნენ „მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“ არ დაირღვეოდა.

თქვენ თითონ გასინჯეთ:

ილარიონ ბენდელიანი იყო მთელი რაიონის წარმომადგენელი და მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა, სწერია საბრალმდებლო ოქმში.

მარუაშვილმა თაოსნობა გასწია და საიდუმლო სალარო დაარსაო. ფულს ჯერ მარუაშვილი ინახავდა თვითონ და შემდეგ ეს ფული მიხეილ ერქომაიშვილს ჩააბარა შესანახავად. შემდეგ, თუ მართალია ის, რაც საბრალმდებლო ოქმში სწერია, ეს ფული გადაუბარებიათ ილარიონ ბენდელიანისათვის.

ფულს აგროვებდენ და ინახავდენ, მაგრამ ამ ფულს დაბოლოს
ხომ უნდა მიცემოდა რაიმე დანიშნულება?

რასაკვირველია.

ასეთი დანიშნულება იყო იარაღის შექმნა და მილიციის მოწყობა
და შეიარაღება.

გაგრაში ოლდენბურგსკის გავლენის და შერემეტიევსკის შუამდ-
გომლობის წყალობით აუარეველი მატროსები ჩამორეკეს; მათ მუსრი
უნდა გაეეღოთ რევოლუციონური მოძრაობით გამოფხიზლებულ
ხალხისათვის.

რევოლუციონურმა ორგანიზაციამ მოინდომა, რომ მატროსები
ამ სამარცხენო საქმეში არ გამოეყენებია მთავრობას. თავდა-
პირველად ერთად-ერთი საშუალება ის იყო, რომ დაბეჭდეს პროკ-
ლამაცია და ეს პროკლამაცია მეზღვაურებს შორის გაავრცელეს.
გზატყვევლის დარაჯი იყო ერთი იმჟამად გაგრაში, ესაულოვი,
იმან იკისრა ამ პროკლამაციების გავრცელება.

ესაულოვს, რაღაც მარცხი შეემთხვა, ზედ ამ საქმეზე წაასწრეს
და დაიჭირეს.

დარჩა ესაულოვს წვრილი ცოლშვილი უპატრონოდ.

...მაგრამო, — ამბობს საბრალმდებლო ოქმი, — მარუაშვილისა და
ჩიჩკინის თაოსნობით ამ ესაულოვის ოჯახის სასარგებლოდ ფულს
აგროვებდენო.

დასახელებული პირების გასამტყუნებლად და დასასჯელად ყვე-
ლაფერზე უკეთესი ის იქნებოდა გამომძიებლისათვის, რომ მათთვის
შერემეტიევსკის მკვლელობა დაემტკიცებია, მაგრამ საამისო საბუთი
არ აღმოჩნდა, ხოლო ის, რაც აღმოჩნდა ერთობ ცოტა და უმნიშ-
ვნელო იყო, ამიტომაცაა, რომ გამომძიებელი კიდევ ახალ-ახალ სა-
ბუთებსა და საქმეებს ჩხრეკს, უნდა ბრალდება უფრო მაგრად იქ-
ნეს შეიარაღებული დასახელებული პირების გასამტყუნებელი მა-
სალით.

„ — მარტო ერთი თვის განმავლობაში, ივნისში ოთხი კრება მოხ-
და სხვადასხვა ადგილას, ზოგი ღლე, ზოგი ღამე და ყველა კრებები
ზემოხსენებული პირების და თაოსნობით ეწყობოდაო.

„ — მარუაშვილი საერთო თაოსნობის გარეშე კრებაზე კიდევაც
ლაპარაკობდაო. ხალხს აქეზებდა მთავრობის წინააღმდეგო.

ეს საზოგადოდ, მაგრამ საგულდაგულოდ არის აწერილი ერთი კრება.

კრების ამბავს მთავრობის მოხელეები ასე გვიხატავენ:

„აუარებელი ხალხი შეიკრიბა.

რამდენიმე ადგილას ამართული იყო წითელი დროშები.

რამდენჯერმე ილაპარაკეს სხვადასხვა საგნებზე ორატორებმა. დამსწრეთა აღელვება თანდათან იზრდებოდა.

მოთავდა ლაპარაკი, მაგრამ კრება მაინც აღარ აპირებდა დაშლას.

შეიქნა მარსელიეზას სიმღერა და მთელი ეს ხალხი ქალაქისაკენ გაემართა“.

ასეთია სურათი, მაგრამ ეს სურათი იმისათვისაა საჭირო, რომ აქ გამომძიებელმა და პროკურორმა ვინმე დამნაშავე აღმოაჩინონ და აი აგერ ასეთი დამნაშავე:

ეს გახლავთ თ ე ო ფ ი ლ ე ნ ა რ ს ი ა .

ქალაქისაკენ დემონსტრაცია მიემართება, ქალაქში კი მეფისა და თავის ხაზინის ერთგული შერემეტიევსკი ზის და, აბა ის გულზე ხელდაკრეფილი ხომ ვერ გაჩერდება? ტყუილა ხომ არ გამოიწერა მან კაზაკები?

გასცეს საჩქარო და ფიცხელი განკარგულება და კაზაკები დაახედრეს მომავალ დემონსტრაციას.

კაზაკების შეიარაღებულ რაზმს, აბა, რას გაუჭირდებოდა უიარაღო ხალხზე გამარჯვება.

ხალხი დაიშალა და ბრძოლის ველი კაზაკებს დარჩათ.

მაგრამ შერემეტიევსკის როდი უნდოდა ხელცარიელი წამოსვლა. გამარჯვებულს ნადავლი რამე უნდა შერჩეს ხელში. შერემეტიევსკის განკარგულებით იქვე დააპატიმრეს: ი ო ს ე ბ მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი დ ა ი ლ ი ა ჩ ი ჩ კ ი ნ ი .

— თქვენ ხართ ამ საქმის მეთაური და თქვენ უნდა აგოთ პასუხიო.

ნარსია, რომელიც თურმე დემონსტრაციას წინ მოუძლოდა, სადღაც გაქრა, ხელი ვერ მოკიდეს.

ამ რამდენიმე კაცის დაჭერამ ასე იოლად როდი ჩაიარა.

გავრცელდა თუ არა ხმა გავრაში, რომ ესა და ეს პირები დაიჭირესო, მაშინვე შეჩერდა მუშაობა ყველგან. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მუშებს გაჰყვენ წვრილი მოხელები. აუარებელმა ხალხმა მოიყარა ქუჩაში თავი.

გაუგზავნეს შერემეტიევსკის მოციქულები და შეუთვალეს:

„ — დაჭერილების გათავისუფლებას მოვითხოვთ. ყველა ახლავდ გაათავისუფლეთო“.

ჯერ სანამ მოციქულები მოვიდოდნენ, შერემეტიევსკის ერთი ერთგული ფინია ჰყავდა — კარის გამღები ვინმე ბრაუნი, იმან წინდაწინვე აცნობა თავის ბატონს ყველაფერი, მაგრამ ამ ბრაუნს ცოტა არ იყოს კუნთებში ძიგძიგი ჰქონდა ატეხილი შიშისაგან და ამბავის ხეირიანად გაგება სად შეეძლო.

მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ მიიღებინა თავის ბატონთან და მიაძახა:

„ — ქართველები მოდიან და აკლებას გვიპირობენ, თუ დაჭერილები არ გაგიშვიათ ახლავეთ“.

შერემეტიევსკის ფერი ეცვალა.

იმწამსვე ყველა გაათავისუფლა, მაგრამ ყველა სამსახურიდან დაითხოვა და გავრაში გაჩერების უფლება აღარ მისცა.

ამის შესახებ ასე სწერია საბრალმდებლო ოქმში:

როდესაც ჩიჩკინი მიდიოდა გაგრიდან, მან თქვა:

„ — შერემეტიევსკი გადავირჩა სიკვდილს, მაგრამ ჩემს მაგივრად იმას სხვები მოკლავნო“.

შერემეტიევსკიმ ჩიჩკინი და მარუაშვილი მოიშორა თავიდან, მაგრამ სანამ ისინი გავრას გაცილდებოდნენ, ბარე ორიოდე არასასიამოვნო და არასასიხარულო ამბავი შეატყობინეს შერემეტიევსკის მისმა ჯაშუშებმა.

ეს ამბავი ასე სწერია საბრალმდებლო ოქმში:

„სწორედ იმ დღეს, რა დღესაც გაძევებული პირები გაგრიდან უნდა წასულიყვენ, წამსვლელებს დიდი ნადიმი და ქეიფი მოუწყვეს. ჯერ ელიავას ბუფეტში იქეიფეს, სადღეგრძელოები დალიეს წამსვლელების, შემდეგ ევეგნი ფერაძის დუქანში გადაინაცვლეს ბინა და იქ გააგრძელეს ქეიფი.“

შემდეგ, წამსვლელები ნავში ჩასვეს და სანამდე ნავი გემს მიად-
გებოდა, სულ მარსელიეზას მღეროდნენ.

გამოთხოვებისას წამსვლელებს დარჩენილებმა ფიცი დაუდვეს:

„ — შერემეტიევისკის სამაგიეროს გადავუხდითო “ .

შერემეტიევისკის იმაზე მეტი ჭკუა საიდან მოეთხოვებოდა, ვიდრე
მის აღმზრდელებსა და ოსტატებს ჰქონდათ. ისინი კი ასე ლაპარაკობ-
დნენ: რევოლიუციას ებრაელები და „ინოროდცები“ აწყობენ, იმათი
ბრალია ყველაფერიო. აქაურ „ინოროდცებში“ შერემეტიევისკიმ, რო-
გორც ვთქვით, ქართველები შეიძულა ყველაზე უფრო, შეიძლება
იმიტომაც, რომ მუშეები აქ ყველაზე მეტი ქართველები იყვნენ და რე-
რევოლიუციონურ მოძრაობაში, რასაკვირველია, მუშეები მეთაუ-
რობდნენ.

ბრუნდი და მართალი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, თუ ქართველი
კი იყო, ყველას ერთი ცოცხით უპირებდნენ გახვეტას.

შერემეტიევისკის ტყუილი მართლად გადიოდა, ხოლო მისი მოწი-
ნააღმდეგეების მართალს არაფერი ფასი არ ჰქონდა.

ტყუილ-უბრალოდ ახირებისა და დაჩაგვრის მაგალითი ბევ-
რი იყო.

აი ერთი იმათგანი. კლიმატიურ სადგურს თოფის წამლის საწყ-
ობი ჰქონდა. ამ საწყობს დარაჯი ჰყავდა; ეს დარაჯი იყო ვინმე
ბესარიონ ცინცაძე.

თანახმად დაქირავების პირობისა ცინცაძეს ჰქონდა ერთი თვის
შვებულების უფლება. ისარგებლა ამ უფლებით ცინცაძემ და წავიდა
გურიაში სახლ-კარის სანახავად. აპირებდა უკან დაბრუნებას დრო-
ზე, მაგრამ ავად გახდა და ვადას ერთი ხუთი დღით გადააცილა.
ამის გამო ის მაშინათვე დაითხოვეს სამსახურიდან.

ცინცაძე როცა გამოცხადდა სამსახურში, მოწმობა წარმოადგინა,
ავადმყოფობის გამო დამიგვიანდაო, მაგრამ ყურიც კი არავინ
ათხოვა.

არც იმ ერთი თვის ჯამაგირი მიცეს და სამსახურიდან ხომ დაი-
თხოვეს და ის იყო.

გავრაში ბლომად იყო ისეთი ხალხი, რომლებსაც რევოლიუციის
ვანგითარება არ მოსწონდა, მაგრამ ყველას წინ უსწრებდა და მე-

ტისმეტად თავკა კობდა რევოლუციის წინააღმდეგ ყოველივე ღონისძიების ხმარებით შერემეტიევსკი.

„ — შერემეტიევსკის უსათუოდ მოკლავენო, — დაჟინებით ლაპარაკობდენ გაგრაში.

ბევრს კიდევ უხაროდა ეს ამბავი, მაგრამ რესტორანის პატრონს ერმალოზ გეგენავას ეკალივით ესობოდა გულში ამ სიტყვების გაგონება.

ასეთი ამბების გაგებით გაბოროტებულმა გეგენავამ თვითონ შერემეტიევსკისაც კი შეატყობინა:

„ — ასეთი და ასეთი ამბები მესმის ბქვენ შესახებ, იცოდეთ, თავს მოუფრთხილდითო“.

გეგენავამ ესეც არ იკმარა.

ჩვენ უწინაც ვახსენეთ შერემეტიევსკის ერთი გულითაღი მეგობართაგანი, მისი ჯაშუში და მასთან ენის მიმტანი საქმის მწარმოებელი ვასილიევსკი. ეს გარემოება ჩინებულად ცოდნია გეგენავას და იმისთვისაც უთქვამს:

„ — ჩიჩკინსა და მარუაშვილს, რომ აცილებდენ, მაშინ ასეთი ლაპარაკი მესმოდა, შერემეტიევსკის ამ ხუთი დღის განმავლობაში მოკლავენო“.

ამის შემდეგ იწყება ცოტა საარაკო ამბები.

ჩიჩკინი და მარუაშვილი 11 სექტემბერს გაემგზავრენ. გაიარა ამის შემდეგ ხუთმა კი არა — ექვსმა დღემ და ერთს სტრაჟნიკს გვარად გაბლოს შეუმჩნევია, რომ სასტუმროსა და შერემეტიევსკის ბინის შუა დადიოდენ: ონისიმიე დვალღი, მიხეილ ორაგველიძე და ფარნაოზ ჯიქია.

გეგენავას წინასწარმეტყველება და სტრაჟნიკ გაბლოს ჩვენება ერთი მეორეს შეუთანაბრდა და ამის გამოისობით იყო რომ დაიჭირეს ჯიქია და ორაგველიძე, დვალს კი ვერ მიაგნეს, ვერ მოაკიდეს ხელი.

სხვათაშორის ექვით ეძებდენ, როგორც მკვლელობაში მონაწილეობის მიმღებს ერთს ჭინჭარაძეს.

ერთ-ხანს მის კვალს ვერ მიაგნეს, შემდეგ, როგორც იქნა, მოახერხეს მისი დაპატიმრება. დაპატიმრებულს დაჰკითხეს და, ექვს გარეშეა, დაკითხვის დროს გვარიანი ფეთება აჭამეს. ამის გამო ჩინ-

ჭარაძე შეშინებულა, დაბნეულა და ჩამოულაგებია ყველაფერი პირ-წმინდათ.

მისი მოთხრობა უთუოდ შეიცავს სიმართლეს, რამდენადაც ის მკვლელობის სხვა მონაწილეებს შეეხება. ცხადია ისიც, რომ ჭინჭარაძე ამ საქმის თანაბარი და თანასწორი მონაწილეა, მაგრამ ის ცდილობს სხვები ჩაჰყაროს და თავის თავს ააცდინოს ბრალდება.

ჭინჭარაძის მოთხრობა, მისი ჩვენება იძულებით, თუ ნებაყოფლობით მიცემული ასეთია:

„ — შერემეტიევსკის მკვლელობის დამსწრე და მაცურებელი ვარ, თუმცა ამ მკვლელობაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. საქმე ასე მოხდა: შემხვდნენ ეფრემა ცინცაძე, ფარნაოზ ჯიქია, მიხეილ ორაგველიძე და ბენდელიანი.

ცინცაძემ მოთხრა:

„ — ჩვენ ერთ ადგილას მივდივართ, საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ“.

უარი ვუთხარი. არამც და არამც არ მინდოდა მათი გაყოლა, ვატყობდი, რომ სასიკეთო საქმეზე არ მიდიოდნენ.

არ ჰქნეს, არ დამყაბულდნენ. ჩემი უარი არ მიიღეს მხედველობაში.

წამიყოლიეს თან და მეც ძალაუნებურად მათი თანამგზავრი შევიქენი.

აღმართს ბილიკებით შევყევით.

ცინცაძემ დაგვანაწილა თითო-ორორი და სხვადასხვა ადგილები აგვიჩინა.

პირველ საფარზე დააყენეს ჯიქია. მას თოფი ჰქონდა. მეორე საფარზე ჩადგა ორაგველიძე, მას რევოლვერის მეტი არაფერი ჰქონდა იარაღი. მესამე საფარი იყო ბენდელიანის. ბენდელიანსაც ჰქონდა, ალბათ, რაიმე იარაღი, მაგრამ მე ვერაფერი შევამჩნიე.

ცინცაძეს, ალბათ, განზრახვა ჰქონდა ჩემთვისაც მოეცა ერთი რომელიმე საფარი, მაგრამ მე მუხლის თავებზე დაჩოქილი შევემუდარე:

„ — გამიშვით, არ არის ეს ჩემი საქმე-მეთქი.

„ — იჯექი და უყურეო, — შემომიყვირა ცინცაძემ.

როცა ყველა თავთავის ადგილას დადგა, გაიარა ასე ხუთმა წუთმა და გამოჩნდნ ფეხით მომავალი წინ შერემეტიევსკი და უკან ექიმი ხორვატი.

პირველი საფარი ჯიქიას ჰქონდა დაკავებული, ამიტომ პირველმა ჯიქიამ ესროლა, მაგრამ მისი გასროლილი ტყვია შერემეტიევსკის არ მოხვედრია.

ექიმმა რალაც უთხრა ჯიქიას. ჯიქიამ რალაც პასუხი გასცა და ამის შემდეგ ორთავე, ექიმიცა და შერემეტიევსკიც, გაჩქარებით გაუდგენ გზას. გაქცევისას ისინი ერთმანეთს დაშორდნ. შერემეტიევსკი გაქცევის შემდეგ ორაგველიძის საფარისკენ წავიდა, მას უკან ჯიქია გამოუდგა, ესროლა კიდევ ხელმეორედ. მეორე ტყვიამ შერემეტიევსკი იქვე დასცა. ორაგველიძეც გამოვარდა ამასობაში თავის საფრიდან და რამდენჯერმე დაახალა რევოლვერი.

ამის შემდეგ ჩვენ ყველა იქეთ-აქეთ წავიდ-წამოვივით, დავიფანტეთ სხვადასხვა მხარეს.

რალაი ერთხელ „აიღვა ენა“ ჰინჯარაძემ, რაც იცოდა და არ იცოდა, ყველაფერი ჩაულაგა გამომძიებელს ხელში.

ხელმეორე გამომძიების შემდეგ მთავრობამ ბევრი ხალხი დაიჭირა, ზოგს და უმეტესობას, რასაკვირველია არავითარი კავშირი შერემეტიევსკის მკვლელობასთან არ ჰქონია, მაგრამ არავინ არ ფიქრობდა მათ გათავისუფლებაზე. ყველას გამოუჩინეს თითო რამ წვრილმანი მაინც და ერთ საქმეში იმიტომ მოაქციეს, რომ ყველას თუ დიდსა არა მცირე მონაწილეობას მაინც აბრალებდნ რევოლიუციონურ მოძრაობაში.

რევოლიუციონურ მოძრაობის სურათი კი ასეა აწერილი საბრალმდებლო ოქმში.

„1905 წლის გაზაფხულიდან რევოლიუციონური მოძრაობამ გაგრაში მეტის-მეტად მოიღვა ფეხი. მთავრობის წესი და კანონი გაუქმებული იყო სავსებით და სრულიად. გაგრაში რამდენიმე პარტია მუშაობდა და ეს პარტიები ისე აწესებდნ და აკანონებდნ საქმეებს, როგორც მათი თვალსაზრისით უმჯობესი იყო.

ბევრს არ მოწონდა ასეთი ამბავი, მაგრამ ხმის ამოღება ყველას ეშინოდა, ვინაიდან ურჩსა და მოწინააღმდეგეს ტყვიით უმასპინძლებოდნ.

გორინი—ურიადნიკი ისე შეავიწროვეს რევოლიუციონერებმა, რომ მან არჩია სრულებით დაენებებია თავი გაგრისათვის და სხვა ადგილი მოენახა საცხოვრებლად.

მის ადგილზე დანიშნეს ალექსანდრე ლაბასი.

დანიშნეს თუ არა ლაბასი სამსახურში, ის მაშინვე გააფრთხილეს.

— თუ ჭკვიანად იქნები, ხმას არავინ გაგცემს, მაგრამ, თუ გორინივით ჯაშუშობა დაიწყე, ცუდ ღღეს დაგაყენებთო.

გამოცხადდა ოქტომბრის მანიფესტი და თუ აქამდე მთავრობის ნიშან-წყალი კიდევ სადმე ჩანდა, ისიც გაქრა და მოისპო. მთელი ძალა-უფლება რევოლიუციონერების ხელში გადავიდა.

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაგრაში დააწესა სახალხო სასამართლო. მანვე გააწერა მცხოვრებლებზე გადასახადი, მოაწყო სახალხო მილიცია და სხვ.

ვინც რევოლიუციონურ კომიტეტს არ დაემორჩილებოდა, მას გაგრაში აღარ აჩერებდენ, ასეთებს აძევებდენ გაგრიდან.

სხვათა შორის გადაძვეეს გაგრიდან მოიჯარადრე დავით პაკაძე, რომელმაც არ მოისურვა მასზე შეწერილი ფულის გადახდა.

23 ოქტომბერს ასეთი ამბავი მოხდა:

ჯარის უფროსმა დაატუსაღა ჯარისკაცი ლუგანსკი.

ეს ამბავი მაშინვე გავრცელდა მთელ ქალაქში.

შეიყარა აუარებელი ხალხი. გაემართენ ყაზარმებისაკენ, სადაც დატყვევებული ჯარისკაცი ეგულებოდათ, ტუსადი გაათავისუფლეს.

ერთ დროს შერემეტიევსკის თხოვნით გაგრაში ხალხის დასაშინებლად და რევოლიუციონური მოძრაობის დასარბევად გამოგზავნეს ეგზლავურები—მატროსები.

მოძრაობის დასარბევად ეს მატროსები სრულებით არ გამოდგენ, რევოლიუციონურ მოძრაობას ისინი თუ აშკარად არა, ფარულად მაინც თანაუგრძნობდენ.

კლიმატიურ სადგურის უფროსად შერემეტიევსკის სიკვდილის შემდეგ კროპაჩოვი დანიშნეს და მან მოინდომა ამ მატროსების თავიდან მოშორება, დააპირა მათი სევასტოპოლში გაგზავნა. ადგილობრივმა რევოლიუციონურმა ორგანიზაციამ არ მისცა დასტური ამ

განკარგულებას და მატროსების გაგზავნისათვის რომ ხელი შეეშალა, გაფიცვა გამოაცხადა.

ერთ ადგილას ოქმში ჩამოთვლილია ყველა ის პირები, ვისაც მთავრობა აგიტატორობასა და პროპაგანდისტობას სწამებდა.

აქ არიან მოხსენებულნი:

ბენდელიანი აქვსენტი და ილარიონი, ჩაჩავები ნოე და ივანე, ცინცაძე ეფრემ, კუხალეიშვილი იონა, კიდევ ერთი ბენდელიანი დავითი და ერქომაიშვილი ვიქტორი.

საბრალმდებლო ოქმის თანახმად ეს პირები ქადაგობდნენ შეიარაღებულ აჯანყების აშუცილებლობას და ხალხს ურიგებდნენ იარაღს.

ამ საქმეზე იყვნენ პასუხისგებაში მიცემული შემდეგი პირები:

- | | |
|--------------------------|--------------------------|
| 1. ბენდელიანი დავით. | 18. იაშვილი სერგო. |
| 2. ფერაძე ევგენი. | 19. მათითაშვილი ანდრია. |
| 3. ცინცაძე ეფრემი. | 20. ჩაჩავა ივანე. |
| 4. ჭინჭარაძე ერასტო. | 21. ბენდელიანი ვლადიმერ. |
| 5. ჯიქია ფარნაოზ. | 22. ორაგველიძე მიხეილ. |
| 6. ერქომაიშვილი მიხეილ. | 23. თავაძე სვიმონი. |
| 7. ერქომაიშვილი ვიქტორ. | 24. ნარსია თეოფილე. |
| 8. კილურაძე მოსე. | 25. ცინცაძე კონსტანტინე. |
| 9. ჩაჩავა ნოე. | 26. ოლესნევიჩი ფრანც. |
| 10. ჟღენტი ბესარიონ. | 27. მალლაკელიძე პორფილე. |
| 11. დვალი ონისიმე. | 28. ივანიუშენკოვი ივანე. |
| 12. ელიავა პეტრე. | 29. მარუაშვილი იოსებ. |
| 13. ცხიიძე მოსე. | 30. ჩიჩკინი ილია. |
| 14. კუხალეიშვილი იონა. | 31. კენჭია პანტელეიმონ. |
| 15. ბენდელიანი აქვსენტი. | 32. მუჯირი აკაკი. |
| 16. ბენდელიანი ილარიონი. | 33. ნარსია დავით. |
| 17. ჭყონია ხარლამპი. | |

საქმე გაირჩა ბათომში 1907 წ., საქმის გარჩევა დაიწყო 5 ნოემბერს და გაგრძელდა რვა დღეს. სასამართლოს თავმჯდომარე იყო ს. ა. ბოგოროდსკი. ბრალდებულებს იცავდნენ შემდეგი ვე-

ქილები: კლანკი, გვაზავა, ს. ამირეჯიბი და კ. ჯაფარიძე.

სასამართლოში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე წოდებათა წარმომადგენლები:

ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი გიორგი ჟურული და ორთაბათუმის მამასახლისი ფაღავა.

ყველაზე მეტი სასჯელი შეხვდა აქვესენტი ბენდელიანს, მას 12 წლის კატორღა მიუსაჯეს, ყველაზე მცირე სასჯელი კი ანდრია მათითაშვილს შეხვდა, რომელსაც ორი თვის ციხე მიუსაჯეს.

ოთხი ბრალდებული გაამართლეს.

დანარჩენებს ზოგს კატორღა მიუსაჯეს, ზოგს ციხეში სამუდამოდ გადასახლება.

მეთის სასამართლო, რასაკვირველია, თვითმპყრობელი მბრძანებელის ტახტის გამაგრებას ემსახურებოდა სულითა და გულით, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ნამეტან და ხელაღებულ სიცრუეზე იყო აშენებული ბრალდება და ზოგიერთი მოსამართლე ამის გამო ვერ ბედავდა მეტის-მეტად მკაცრ სასჯელის გამოტანას.

ასე იყო ამ შემთხვევაშიაც.

მთავარი ამ საქმეში იყო შერევეტიევსკის მოკვლა. მისი მკვლეელი არ ჩანდა. მოწმეების ჩვენება მეტად უსუსური, ზერელე და არა დამარწმუნებელი იყო. ჭინჭარაძის ჩვენებას კი დიდი ფასი არ ჰქონდა. აშკარა იყო, რომ მან ეს ჩვენება იძულების ქვეშ მისცა.

ბრალდებულებს წაყენებული ჰქონდათ 102 მუხლი სისხლის სასამართლის დებულების, ესე იგი ბრალდებოდათ ისეთ ფარულ რევოლიუციონურ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წესწყობილების დამხობას შეიარაღებულ აჯანყების საშუალებით.

სასამართლოს ძიების დროს არ გამოჩნდა მაინცა და მაინც, რომ ადგილობრივ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს შეიარაღებული აჯანყება ჰქონოდათ მიზნად დასახული და რაიმე სამხადისს აწარმოებდენ ასეთ აჯანყებისათვის.

ამიტომ პროკურორმა თავი დაანება 102 მუხლსა და 126 მუხლით დაკმაყოფილდა. ეს უკვე დიდ შეღავათს იძლეოდა.

ამ იმედით ბრალდებულებს გაცილებით ნაკლები და იოლი სასჯელი უნდა შეხვედროდათ, მაგრამ საქმის გათავების წინ, როცა სასამართლოს ძიება გათავებული იყო, როცა პროკურორსა და დამცველებს ნათქვამი ჰქონდათ თავთავიანთი სიტყვები და საქმის დაბოლოებისათვის საჭირო იყო მხოლოდ განაჩენის გამოტანა, ამ დროს სასამართლოს თავმჯდომარემ ბოგოროდსკიმ დებეშა მიიღო გაგრიდან.

ოლდენბურგსკიმ ბოგოროდსკი გაგრაში გაიხშო და სასტიკი სახარება წაუკითხა.

ბატონის ნაბრძანები მსახურმა კარგად დაიმასსოვრა და სწორედ ისეთი სასჯელი გამოუტანეს ბრალდებულებს, როგორც პრინც ოლდენბურგსკის ესამოვნებოდა.

შპს 1 მან.

311/36

